საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბარათაშვილი მიხეილ პეტრეს ძე

ბარათაშვილი (ბარატაევი) მიხეილ პეტრეს ძე [25. I. 1784, ქ. სიმბირსკი, – 30. VII. 1856, ბარატაევკა, სიმბირსკის გუბ.], ისტორიკოსი, ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი, ქართული და აღმოსავლური მონეტების კოლექციონერი. ბ-ის საგვარეულო რუსეთში დასახლდა XVIII ს-ში. 1820–35 ბ. სიმბირსკის თავადაზნაურობის წინამძღოლი იყო. 1826 დააპატიმრეს დეკაბრისტების საქმეზე, მაგრამ იმავე წელს გაათავისუფლეს მამხილებელი მასალის უქონლობის გამო.

ძვ. ქართული მონეტების აღწერა, კლასიფიკაცია და დათარიღება მოცემულია ბ-ის ფუძემდებლურ ნაშრომში „საქართველოს სამეფოს ნუმიზმატიკური ფაქტები“ (1844, სპბ., რუს. და ფრანგ. ენებზე). ამ ნაშრომით საფუძველი ჩაეყარა ქართული ნუმიზმატიკის მეცნ. ტერმინოლოგიას. ბ-მა გამოიგონა და გამოიყენა ძვ. მონეტების ზუსტი პირების დამზადების ხერხი. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან პირველმა მიაქცია ყურადღება VI ს. კლასიკურ საისტორიო წყაროებში დაცულ ცნობას თბილისის შესახებ. ბ-ის ისტორიოგრაფიულ მემკვიდრეობას გასდევს ღრმად პატრიოტული და პროგრ. კონცეფცია ქართველთა და საქართველოს ერთიანობის შესახებ.

ბ-ს კოლექცია ამჟამად დაცულია ბერლინის სახელმწ. მუზეუმში (გერმანია).

ლიტ.: კ ა პ ა ნ ა ძ ე დ., ქართული ნუმიზმატიკა, თბ., 1969; П а х о м о в Е. А., Монеты Грузии, Тб., 1970.

ა. აფაქიძე